

სასამართლო-საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის სოციალურ-სამართლებრივი შინაარსი და ორგანიზაციული საფუძვლები

ნინო ნიშნიანიძე — სამართლის დოქტორი
სტუ-ს პროფესორი
შორენა ნიქარიძე — სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს სახელმწიფოებრივ პოლიტიკური განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღება, რომელიც რ ქართული სახელმწიფოს დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემის საფუძველს წარმოადგენს. კონსტიტუციამ ახლებურად გაიაზრა სასამართლო ხელისუფლების იდეა, რომელიც უაღრესად აქტუალური გახლდათ პოსტსაბჭოთა საქართველოსათვის და საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სამართლიანი სასამართლო ინსტიტუციის ფორმირებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი განშტოებაა, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულებისა და საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების პროცესში საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ჩაურევლობას. ასეთი დამოუკიდებლობის არსებობა აუცილებელია სახელმწიფოს ფუნქციების რეალური განხორციელებისათვის. სასამართლო ხელისუფლება, ქმნის სასამართლო ორგანოთა ერთიან სისტემას, რომელიც შედგება ორი განსხვავებული სასამართლო ინსტიტუციის — საერთო იურისდიქციის სასამართლოებისა და საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებელი სასამართლო მექანიზმის — საკონსტიტუციო სასამართლოსაგან.

თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრივ პოლიტიკური განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღება, რომელიც ქართულ პოლიტიკურ და იურიდიულ მეცნიერებაში თამამად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ქართული სახელმწიფოს დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაზე გადავლის საწყისად, კონსტიტუციამ ახლებურად გაიაზრა სასამართლო ხელისუფლების იდეა, რომელიც უაღრესად აქტუალური გახლდათ პოსტსაბჭოთა საქართველოსათვის და სა-

ფუძველი ჩაუყარა ახალი დემოკრატიული სასამართლო ინსტიტუციის ფორმირების პროცესს.

სასამართლო, ხელისუფლების სრულიად დამოუკიდებელი განშტოებაა, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულებისა და საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების პროცესში საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ჩაურევლობას. ასეთი დამოუკიდებლობის არსებობა აუცილებელია სახელმწიფოს ფუნქციების რეალური განხორციელებისათვის, ხოლო დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლება დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მიხედვით. სასამართლო ორგანოთა ერთობლიობა, რომლითაც ხორციელდება სასამართლო ხელისუფლება, ქმნის სასამართლო ორგანოთა ერთიან სისტემას, რომელიც შედგება ორი განსხვავებული სასამართლო ინსტიტუციის — საერთო იურისდიქციის სასამართლოებისა და საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებელი სასამართლო მექანიზმის — საკონსტიტუციო სასამართლოსაგან.

საკონსტიტუციო იურისდიქციის უპირატესობა, რითაც ის საერთო იურისდიქციის სასამართლოებისაგან გამოირჩევა, მდგომარეობს იმაში, რომ მისი ფუნქციონირების პირობებში საქმის გარემოებათა გამოკვლევა და გადან-ყვეტილებების მიღება, შედარებით რაციონალური პროცედურით ხორციელდება. საკონსტიტუციო სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ საკონსტიტუციო სამართლებრივი საკითხების განხილვით და ეს მას თავიდან აცილებს იმის აუცილებლობას, რომ ერთდროულად გადაწყვიტოს მეტად რთული, სპეციალური საკითხები სამართლის სხვადასხვა სფეროდან. გაცილებით მარტივად ხდება სასამართლო გადაწყვეტილებებისათვის საყოველთაოდ სავალდებულო ხასიოთის მინიჭება.

სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების უფლებამოსილებათა ზღვრების თვალსაზრისით შეიძლება ვიმსჯელოთ პოზიტიურ და ნეგატიურ საკანონმდებლო უფლებამოსილებებზეც. ტრადიციული მიდგომის პირობებში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს არ ენიჭება პოზიტიური საკანონმდებლო რწმუნებულებები (ე.ი. იგი ვერ ჰქმნის ახალ ნორმებს) და მას გააჩნია მხოლოდ ნეგატიური საკანონმდებლო რწმუნებულებები (ნორმების გაუქმების სახით), მაშინ, როდესაც პოზიტიური კანონმდებლის როლი ენიჭება პარლამენტს, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს ნეგატიური საკანონმდებლო რწმუნებულებებიც გარკვეულ შეზღუდვებს განიცდის. ასე, მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო სამართალწარმოების პროცესში, ხშირად იფარგლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებათა შენარჩუნების სასარგებლოდ (სასამართლოს თვითშეზღუდვის პრინციპი, პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაზე უარის დოქტრინა).

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ქვეყნების საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა კომპეტენციის შესახებ არსებული ლიტერატურის ანალიზით დგინდება, რომ საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს წინასწარი და შემდგომი. თანამედროვე ეტაპზე უპირატესად შემდგომი კონტროლი გამოიყენება. რაც შეეხება წინასწარ კონტროლს, საერთაშორისო სამეცნიერო და იურიდიულ ფორუმებზე საკონსტიტუციო კონტროლის ეს ფორმა წარმოადგენს დავის ობიექტს. ჩვეულებრივ ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ წინასწარი კონტროლის განმახორციელებელი ორგანო სინამდვილეში მხოლოდ კონსულტაციური ფუნქციების შემსრულებელი გამოდის, რადგან იხილავს საკონსტიტუციო დებულებებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, კანონებს და სხვა ნორმატიულ აქტებს (როგორც წესი, — უმაღლეს სახელმწიფოთა ორგანოების მოთხოვნით) მათ გამოქვეყნებამდე და ძალაში შესვლამდე. შახელდობრ, ესპანეთში წინასწარი კონტროლის გაუქმებასთან ერთად აღინიშნებოდა, რომ სპეციალური ორგანოს მიერ წინასწარი კონტროლის განხორციელებისას საკანონმდებლო ხელისუფლება უარს აცხადებს საკონსტიტუციო კონტროლის თავის უფლებამოსილებებზე ანუ კომპეტენციაზე. ამ დროს ჭიანჭურდება საკანონმდებლო პროცედურა, ხოლო კონტროლის ხარისხი შეზღუდული ვადის გამო საეჭვო ხდება. თავისი წმინდა სახით, ე.ი. შემდგომ კონტ-

როლთან შეხამების გარეშე, წინასწარი კონტროლი საფრანგეთსა და რიგ აფრიკულ ქვეყნებში გამოიყენება. სხვა ქვეყნები უპირატესად იყენებენ შემდგომ კონტროლს და მხოლოდ ცალკეული ხელმოწერილი საერთაშორისო შეთანხმების მიმართ გამოიყენება წინასწარი კონტროლი. ზოგ ქვეყანაში გამოიყენება შემდგომი და წინასწარი კონტროლის ფორმების აგრეთვე სხვა აქტების მიმართებით შეხამება (მაგალითად, კვიპროსი, რუმინეთი).

იურიდიული ხასიათით შემდგომი კონტროლი არის აბსტაქტული (პირაპირი) ან კონკრეტული (ირიბი, დამხმარე). ზემომოყვანილი ანალიზიდან გამომდინარე აბსტრაქტული კონტროლი აღარ საჭიროებს კომენტარს. კონკრეტული კონტროლი გამომდინარეობს ჩვეულებრივი სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის, განხილვიდან როდესაც ამ სასამართლოს გარკვეული კანონის არაკონსტიტუციურობის თაობაზე დასაბუთებული ეჭვი უჩნდება (მაგალითად, იტალიაში, ანდა იგი დარწმუნებულია ამაში (კერძოდ, გერმანიაში, ამგვარი კონტროლის შედეგები იმაში მდგომარეობს, რომ ეჭვქვეშ დაყენებული ნორმა არ გამოიყენება განსაზღვრული დავის გადაწყვეტისას (მისი არაკონსტიტუციურობის საკითხის განხილვის გარდა). ამხმარე საკონსტიტუციო კონტროლი გამოიყენება ამერიკულ სასამართლო სისტემაში, საიდანაც იგი გავრცელდა ამერიკის კონტინენტისა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც.

საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება დღეისათვის უკვე აღარ იზღუდება უბრალო კასაციის ფუნქციებით და საკონსტიტუციო სასამართლოთა პოზიტიური გადაწყვეტილებები თანდათანობით სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ. მთელ რიგ შემთხვევაში ეს კი ნიშნავს სააპელაციო გადაწყვეტილებების მიღებას (გერმანია, აშშ), რომლებშიც საკონსტიტუციო სასამართლო მიმართავს კანონმდებელს საკითხთა გარკვეული წრის განსაზღვრული რეგულირების ინიციატივის მიზნით. სულ ახლახანს ზოგიერთმა სახელმწიფომ შემოიღო სპეციალური ნორმები სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა მიერ კანონმდებლის მიმართ აპელირების უფლების თავლაზრისით. პოზიტიური უფლებამოსილებებით საკონსტიტუციო სასამართლო წარმოების აღჭურვა საკმაოდ ვიწრო ფორმით გამოიყენება ავსტრიაში, უნგრეთში, იტალიასა და პორტუგალიაში. პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია ცხადად გამოკვეთილი უფლებამოსილებანი აღმოაჩინოს არაკონსტიტუ-

ციური ხარვეზები კანონმდებლობაში და გაატაროს სათანადო ზომები. უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს აგრეთვე გააჩნია არასაკონსტიტუციო სიტუაციის ლიკვიდაციის უფლებამოსილებანი, თუ იგი წარმოიქმნა სამთავრობო ორგანოს ბრალით. ბრაზილიის სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის სისტემა უშვებს ხელისუფლების ორგანოთა და ასევე პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ სამართლებრივ რეგულირებაში ხარვეზებზე განსაკუთრებული აბსტრაქტული საჩივრის შეტანას. იტალიის საკონსტიტუციო კონტროლის სისტემა ცნობილია თავისი „კოლექტიური“ გადაწყვეტილებებით, რომელთა მეშვეობითაც საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია შეიტანოს დამატებები ანდა შეცვალოს კიდეც სადავო აქტი.

ზემომოყვანილი ანალიზიდან გამომდინარე ნათელი ხდება საკონსტიტუციო კონტროლის ორივე ფორმის თავისებურებანი, საიდანაც ჩანს, რომ წინასწარი და ასევე, შერეული, ანუ — შემდგომი და წინასწარი კონტროლის ერთობლივი კომბინაციის კომპეტენციის საკითხი არ გახლავთ სათანადო დონეზე შესწავლილი არც თეორიულად და არც პრაქტიკულად.

ამდენად, რომელიმე ქვეყნის საკონსტიტუციო კონტროლის მოდელის უშუალო კოპირება საქართველოს პირობებისათვის მიზანშეწონილია და მოითხოვს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა კომპეტენციის კომპლექსურ კვლევას არსებული რეალიების გათვალისწინებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითად კომპეტენციას წარმოადგენს ქვეყანაში კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება, მაგრამ სამართლის მეცნიერებაში, დღეისათვის არ არსებობს კონსტიტუციური კონტროლის კომპეტენციის ცნების ერთიანი, საყოველთაოდ აღიარებული განმარტება, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული განმარტება შემდეგნაირად ჟღერს:

„საკონსტიტუციო კონტროლი არის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კანონებისა და საკანონმდებლო აქტების შესაბამისობის დადგენა ძირითად კანონთან „კონსტიტუციასთან“, ნაწილი მეცნიერებისა სხვაგვარად ხსნის საკონსტიტუციო კონტროლის არსს. მათი აზრით, „საკონსტიტუციო კონტროლი ეს არის საქმიანობა, რომელიც მიმართულია ხელისუფლების

დანაწილებისა და კონსტიტუციური კონფლიქტების მოგვარებისაკენ“.

საკონსტიტუციო ზედამხედველობის პრაქტიკამ თანდათანობით გააფართოვა ჰორიზონტი, გაამდიდრა სამოქმედო არეალი და კუთვნილი ადგილი დაიკავა ხელისუფლების შტოთა ურთიერთქმედების სამართლებრივი მონესრისების საქმეში. ყოველივე აღნიშნულს, მოჰყვა ის, რომ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა ახალი ტერმინი — „საკონსტიტუციო კონტროლი“. საკონსტიტუციო კონტროლი და საკონსტიტუციო ზედამხედველობა არატოლფასი ცნებებია. მათ შორის ზუსტად ის ზღვარია, რა ზღვარიც არსებობს ორ სამართლებრივ ქმედებას ზედამხედველობასა და კონტროლს შორის.

თანამედროვე მიდგომით, კონსტიტუციური კონტროლი განიხილება ფართო და ვიწრო გაგებით. საკონსტიტუციო კონტროლი ფართო გაგებით, გულისხმობს ყველა გამოცემული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებას, ხოლო ვიწრო გაგებით, მხოლოდ ნორმატიული აქტის შემოწმების საშუალებას იძლევა.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, სახეზე გვაქვს საკონსტიტუციო კონტროლი ფართო გაგებით, თუმცა საკონსტიტუციო კონტროლი არ ეხება ყველა ინდივიდუალური ხასიათის აქტებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს.

საქართველომ მსოფლიოში გავრცელებული კონსტიტუციური კონტროლის ფორმებიდან აირჩია გერმანული მოდელი, დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს სახით, განსხვავებით ამერიკული სისტემისგან, სადაც კონსტიტუციურ კონტროლს საერთო სასამართლოები ახორციელებენ და ფრანგული მოდელისაგან, სადაც კონსტიტუციური იუსტიცია ხორციელდება კვაზი სასამართლო ორგანოს — საკონსტიტუციო საბჭოს მიერ.

ყველაზე ხშირად კონსტიტუციური კონტროლის ქვეშ მოიაზრებენ საჯარო ხელისუფლების ორგანოებს შორის ურთიერთობათა ისეთ სისტემას, რომლის დროსაც მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს კონტროლსდაქვემდებარებული ორგანოს სამართლებრივი აქტები, სხვა სიტყვებით — კონსტიტუციური კონტროლი არის ცონტროლს დაქვემდებარებული ორგანოს საქმიანობის შემოწმება მისი კონსტიტუციურობის თვალსაზრისით. ასეთ კონტროლს მაკონტროლებელი ორგანო ახორციელებს საკუთარი ან სხვა სუბიექტების ინიციატივის საფუძველზე.

ამდენად, კონსტიტუციური კონტროლი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ქვეყნის ძირითად კანონთან კონსტიტუციასთან, სახელმწიფო ორგანოების და ცალკეული თანამდებობის პირების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების შესაბამისობაზე კონტროლის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური კონტროლის ორგანოთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც მათთვის დადგენილ სფეროში უმაღლესი ძალაუფლებით სარგებლობს. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება სამართალშემოქმედებაზე, პოლიტიკურ ურთიერთობათა ფართო წრეზე რეფერენდუმზე, არჩევნებზე, მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, პარლამენტის შიდა ცხოვრებაზე, უმაღლესი თანამდებობის პირების იმპიჩმენტის პროცედურაზე, ადამიანსა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციურ ურთიერთობებზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, მისი ფარგლები, ნორმატიული რეგულირება და სხვა თავისებურებები ხშირად წარმოშობენ პრობლემურ საკითხს. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს კონსტიტუციურ კონტროლს თუ, კონსტიტუციურ ზედამხედველობას?

სპეციალისტები, მაგალითად პროფ. ო. მელქაძე ტერმინს “საკონსტიტუციო კონტროლი” მიჯნავს “საკონსტიტუციო ზედამხედველობისგან” და მიიჩნევს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფრო საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოა, ვიდრე საკონსტიტუციო კონტროლის, ვინაიდან კონტროლი ზედამხედველობისგან განსხვავებით მართვის პროცესში თვითინიციატივურ ჩარევასაც გულისხმობს. მაშასადამე, საკონსტიტუციო კონტროლი კანონშემოქმედებით პროცესში გარკვეული ჩარევაა კანონპროექტების წინასწარი ექსპერტიზის გზით, კანონთა კონსტიტუციურობის უზრუნველყოფის მიზნით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კი არ ახორციელებს კანონპროექტების წინასწარ ექსპერტიზას, რის გამოც ის უფრო ზედამხედველობის ორგანოდ უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე კონტროლის. სავსებითშესაძლებელია, რომ საკონსტიტუციოსა სამართლოს უფლებამოსილება მომავალში გაფართოვდეს და ზოგიერთი ევროპული ქვეყნის: ავსტრიის, იტალიის, პორტუგალიის და სხვათა მსგავსად, განახორციელოს ე.წ პრევენციული კონტროლი. წინასწარი კონტროლი განსაკუთრებით მნიშვნელო-

ვანია საარჩევნო კანონმდებლობასთან მიმართებაში, რათა ერთპარტიული საპარლამენტო უმრავლესობის პირობებში იმთავითვე გამოირიცხოს არაკონსტიტუციური ნორმების მიღება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ტიპიური კონტინენტური ევროპული მოდელის სასამართლოს მსგავსად, ახორციელებს მომდევნო კონტროლს, რამდენადაც ის ადგენს უკვე ძალაში შესული ნორმატიული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან. თუმცა რატიფიცირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების კონსტიტუციურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მათ რატიფიცირებამდე. მხოლოდ ამ ერთ შემთხვევაშია უფლებამოსილი საკონსტიტუციო სასამართლო განახორციელოს წინასწარი კონსტიტუციური კონტროლი.

ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა მატერიალური გაგებით ითვალისწინებს აქტის შინაარსის კონსტიტუციის ცალკეულ დებულებებთან შესაბამისობის საკითხს. ფორმალური გაგებით კი აქტის კონსტიტუციურობა ნიშნავს, რომ აქტი შინაარსობრივად შეესაბამება კონსტიტუციას, მიღებული გამოქვეყნებული და კანონიერ ძალაში შესულია კონსტიტუციით დადგენილი წესით: კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულია იმ ორგანოს მიერ, რომელსაც კონსტიტუციით მინიჭებული აქვს კანონშემოქმედებითი უფლებამოსილება. ამასთან, აუცილებლად უნდა იყოს დაცული ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. ხშირად გამოყოფენ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შეფასების შემდეგ კრიტერიუმებს: ა) ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის შინაარსი; ბ) ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ორგანოს კომპეტენცია; გ) ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მიღებისა და გამოქვეყნების პროცედურა.

შინაარსის მიხედვით ნორმატიული აქტი კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს რამდენიმე კრიტერიუმით. ნორმატიული აქტით გათვალისწინებული საკითხების ბუნება უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის ნორმებს და ასევე, ნორმატიული აქტი კონსტიტუციურობის თვალსაზრისითაც უნდა პასუხობდეს იმ პრინციპებსა და სამართლებრივი რეგულირების მიზნებს, რომლებიც ქვეყნის კონსტიტუციის პრეამბულაში დევს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ზოგადად განვმარტოთ, თუ რა შემთხვევაშია ნორმატიული აქტი კონსტიტუ-

ციური. კერძოდ, თუ იგი შინაარსობრივად შეესაბამება ქვეყნის უზენაეს კანონს, მიღებულია უფლებამოსილი სუბიექტების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოქვეყნებულია და შესულია ძალაში შესაბამისი ფორმისა და პროცედურის დაცვით.

ამდენად, რომელიმე ქვეყნის საკონსტიტუციო კონტროლის მოდელის უშუალო კოპირება საქართველოს პირობებისათვის მიზანშეუწონელია და მოითხოვს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა კომპეტენციის კომპლექსურ კვლევას არსებული რეალიების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ.
2. “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, 1996 წ.
3. ს/კ “საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ”. 1996 წ.
4. მელქაძე ო., დვალი ბ. საკონსტიტუციო სამართალოების კომპეტენცია. “ადამიანი და კონსტიტუცია”, №3, 1999 წ. 5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგალმენტი, თბ., 1996 წ.
5. ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბილისი, “აირის საქართველო”, 2003 წ.6. . Muller Z.F. *Lerbuch der Verfassungs gerichtsbareit – Verfassungs prozebrecht*. Heiden berg. 1991; *Государственное право Германии*. М. т. 1-2, 1994 г.
7. Garlicki, leszek. “The influence of American Ideas on the Development of Constitutionalism in Poland and Eastern Europe”. In *Constitutionalism and Human Rights: America, Poland and France*, edited by Kenneth Thompson and J.R.Ludwikowski, University Press of America, 2001.
8. გერმანიის კონსტიტუცია, 1949 წ.
9. Баглай М.В. Слово о конституционном правосудии. Закон и право. 2010.
10. Чиркин В.Е. Предметы ведения федерации и ее субъектов: разграничение, сотрудничество,
11. Умнова И.А. Конституционные основы современного российского федерализма. - М.: Дело, 2010.